ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482203210**

თარიღი:**01/02/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „იმერეთი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს.კ.№ 29.12.33.247; განაშენიანების ფართი-559.2 კვ.მ) სწრაფი კვების ობიექტისა და კომერციული ფართის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის “მე16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 26-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 30-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 96-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ექსპლუატაციაში იქნას მიღებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „იმერეთი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს.კ.№ 29.12.33.247; განაშენიანების ფართი-559.2 კვ.მ) სწრაფი კვების ობიექტი და კომერციული ფართი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს მალხაზი ჩხეიძეს.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი